

Image not found or type unknown

საია-ს დახმარებით სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გათავისუფლებული პირი სამსახურში აღდგა

საია-ს ქუთაისის ფილიალი იცავდა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებებს. იგი 2007 წლიდან მუშაობდა დაკავებულ პოზიციაზე, თუმცა, 2019 წლის მაისში მონიტორინგის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე დისციპლინური სახდელი - „სამსახურიდან გათავისუფლება“ დაეკისრა. დასკვნაში მითითებული იყო, რომ დასაქმებულის მხრიდან აღგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობას, რაც საქმეზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებით არ დგინდებოდა.

სასამართლოს განხილვისას, მთავარი სხდომის მიმდინარეობის ეტაპზე, საქმე მხარეთა მორიგებით დასრულდა და მოსარჩელე აღადგინეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, გათავისუფლებამდე დაკავებულ პოზიციაზე.